



გაეროს გამოცდილება
აგრესიული
არასახელმწიფო
აქტორების მიერ
მასობრივი
განადგურების
იარაღის წვდომის
აღკვეთაზე



**გაეროს გამოცდილება აგრესიული
არასახელწმიფო აქტორების მიერ მასობრივი
განდადგურების იარაღის წვდომის აღკვეთაზე**

ავტორი: მარიამ ჭოჭუა

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ან ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) პოზიციას. TRC - ს წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.



აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს აგრესიული არასახელმწიფო აქტორების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის წვდომის აღკვეთის გაეროსა და მასთან თანამშრომელი ორგანიზაციების გამოცდილებას. კვლევის მიზანია, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მასობრივი განადგურების იარაღებზე წვდომის და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ასევე, შეფესება მათგან მომავალი იმ საფრთხეებისა, რომლებიც ძლიერი რისკის ქვეშ აყენებენ თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურას. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომი მიმოიხილავს მასობრივი განადგურების იარაღთა ტიპებს, ტერორისტული დაჯგუფებების მიერ WMD-ზე წვდომისა და მისი გამოყენების შემთხვევებს, ასევე, გაეროს და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების პრევენციის საშუალებებს. შედეგად, კვლევა ხაზს გაუსვამს WMD ტერორიზმის პრევენციის მიმართულებით არსებულ ჩავარდნებს და გასცემს რამდენიმე რეკომენდაციას.

საკვანძო სიტყვები: მასობრივი განადგურების იარაღი; ტერორიზმი, პრევენცია, გაერო

სარჩევი

შესავალი.....	5
მეთოდოლოგია.....	8
ლიტერატურის მიმოხილვა	9
გაეროსა და მის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მიღებული ზომები აგრესიული არასახელმწიფო აქტორების მხრიდან WMD-ზე წვდომის აღკვეთაზე.....	10
1. მასობრივი განადგურების იარაღთა ტიპები: ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღები (CBRN)	10
2. აგრესიული არასახელმწიფო აქტორების, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციების WMD-ზე ხელმისაწვდომობის საკითხი.....	15
3. ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შემთხვევების მოკლე ისტორიული მიმოხილვა იაპონიაში, სირიასა და ერაყში.	17
4. გაეროს ოფისები და მექანიზმები WMD ტერორიზმის პრევენციის-თვის	19
4.1 გაეროს მიერ მიღებული სამართლებრივი დოკუმენტები, როგორც საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, არასახელმწიფო აქტორებისთვის WMD იარაღის შექმნა, ტრასპორტირება, წარმოებისა და გამოყენების აღსაკვეთად.	20
4.2. გაეროსა და OPCW-ის თანამშრომლობა WMD ტერორიზმის აღკვე-თვის მიმართულებით.....	21
4.3	IAEA 23
5. დღეს არსებული გამოწვევები და რეკომენდაციები	24
დასკვნა	29
გამოყენებული ლიტერატურა:.....	30

შესავალი

მასობრივი განადგურების იარაღი, რომელშიც კლასიფიცირდება ბირთვული ქიმიური და ბიოლოგიური ტიპის იარაღთა ტიპები მიზნად ისახავს ფართო მასშტაბიან ნგრევასა და სიკვდილიანობას(Schneider, B Weapon of Mass Destruction¹). ასევე მასობრივი განადგურების იარაღში ერთიანდება რადიოლოგიური ტიპის იარაღიც (IRMI, Weapon of mass destruction WMD)² თუმცა, არსებობს მასობრივი განადგურების იარაღის, განსაკუთრებით კი ბიოლოგიური და ქიმიურის იარაღების გამოყენების შემთხვევები ვინრო მასშტაბით, რომელიც გათვლილია მცირე სამიზნე ჯგუფებზე. ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს იყენებენ პოლიტიკური ან რელიგიური კონკურენტების ჩამოსაშორებლადაც. ამგვარი თავდასხმები არ განიხილება, როგორც ომი, არამედ კვალიფიცირდება როგორც კრიმინალური აქტები(Kaszeta, 2001)³. ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა უკავშირდება ალექსანდრე ნავალნის მონამვლას. იგი ავად მაშინ გახდა, როცა ციმბირიდან მოსკოვში მიფრინავდა. მას შემდეგ რაც, ნავალნის გერმანიაში გადაყვანა მოახერხეს, აღმოჩნდა, რომ იგი საბჭოთა პერიოდის ნერვული აგენტით ნოვიროკით იყო მონამლული. ნავალნის მონამვლაში ბრალი ედება რუსეთის ხელისუფლებას⁴. თუმცა, კრემლი უარყოფს აღნიშნულ ბრალდებას. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა რუსეთმა პოლიტიკური მკვლევლობებისთვის გამოიყენა ქიმიური იარაღი. ბულგარელი დისიდენტი გეორგი მარკოვი გარდაიცვალა რიცინიანი ქოლგის წვერის დარტმის შემდეგ. 1957 წელს ნიკოლაი ხოხლოვი მონამლეს ფინჯან ყავაში ჩაყრილი უცნობი სახის ტალიუმით. 2004 წელს, ვიქტორ იუშენკო მონამლეს დიოქსინით. იმავე წელს, ჟურნალისტი ანა პოლიტოვსკაია მოულოდნელად გახდა ავად, მას შემდეგ რაც, ჩაი დალია რუსეთიდან ქალაქ ბესლანში მიმავალმა. იგი გადარჩა, თუმცა ვლადიმირ პუტინის დაბადების დღეზე დახვრიტეს. 2006 წელს, FSB-ს სამსახურის ყოფილი ოფიცერი ალექსანდრე ლიტვინენკო გარდაიცვალა ჩაიში მოხვედრილი პოლონიუმ-210-ის დალევის შედეგად. 2018 წელს, ქალაქ სალისბურში სკრიპალების ოჯახის მონამვლა ნოვიროკით უკავშირდება რუსეთის მთავრობას. 2015 და 2017 წელს, პროდემოკრატი ვლადიმირ კარა-მურზა ორივეჯერ კინალამ გარდაიცვალა, როდესაც მისმა ორგანოებმა მოულოდნელად შეწყვიტა ფუნქციონირება. ფრანგულმა ლაბორატორიამ მის სისხლში დაადგინა მძიმე მეტალების მაღალი შემცველობა, თუმცა მომწამლავი ნივთიერების ტიპი ვერ დადგინდა. 2018 წელს, Pussy Riot-ის წევრი პეტრ ვერზილოვი მოულოდნელად დაავადდა. მისი თქმით მისი სიმპტომები მსგავსი იყო ნავალნის სიმპტომებისა, ამიტომაც იგი ბრალს სდებს პირადად პუტინს.⁵ ასევე, 2017 წელს ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ნახევარძმა კიმ ჯონგ უნი მონამლეს კუალა ლუმპულის აეროპორტში ნერვული აგენტი XV-ით. აღნიშნულ თავდასხმის მოწყობა დაუკავშირეს ჩრდილოეთ კორეის მთავრობას, თუმცა მათ უმაღვე უარყვეს ბრალდება.⁶

¹ Schneider, B. chemical weapon. Britannica
<https://www.britannica.com/technology/chemical-weapon>

² IRI, Weapon of Mass Destruction WMD
<https://www.irmi.com/term/insurance-definitions/weapon-of-mass-destruction>

³ Kaszeta, D. 2001. Small-scale chemical and Biological production. Rusi
⁴ Russia responsible for Navalny poisoning, right experts say. 2021 UN News
<https://news.un.org/en/story/2021/03/1086012?fbclid=IwAR24pYwKH9-ISJZi3s0P9yGpUODTtP5j2NGESbqzFu9Z0cTOv9hZ7pvrDew>

⁵ Reevell, P.2020. Before Navalny, a long history of Russian poisonings. abcNews
https://abcnews.go.com/International/navalny-long-history-russian-poisonings/story?id=72579648&fbclid=IwAR3pYPmen41QUxYijjHW1ZllarKwOnyLxH_X_3O9ooWrWpZB28fSiGgW8j4

⁶ Griffiths, J.2017. Kim Jong Nam had antidote to XV nerve agent on him at time of murder. CNN

ამასთანავე, არსებობს ქიმიური იარაღის გამოყენების რამდენიმე მცირე მასშტაბიანი თავდასხმა, რომელთა მოწყობაზეც ტერორისტები არიან ეჭვმიტანილნი. თუმცა, რიგ შემთხვევაში ტერორისტული ორგანიზაციების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა და მომხდარ ინციდენტებზე პასუხისმგებლობა არცერთ დაჯგუფებას აუღია⁷. (იხ.ფიგურა 1)

ფიგურა 1. არასახელმწიფო აქტორების მიერ ქიმიური იარაღის სავარაუდო გამოყენება მცირე მასშტაბიანი მკვლელობებისთვის. წყარო: Global Terrorism Database

Date	country	Preperator group	Target type	Attack type	Weapon type	Fatalities	injured
2016/12/20	Yemen	Ansar allah (Suspected)	Government (General)	Assassination	Chemical (Poisen)	1	1
2015/01/12	India	Unknown	Violent political party	Assassination	Chemical (Acid)	0	3
1997/09/25	Jordan	Unknown	Violent political party	Assassination	Chemical (gas)	0	1
1991/-08/07	India	All india Anna Dravida Munetra Kasgan Party	Government (General)	Assassination	Chemical (Acid field egg shells)	0	3
1989-08/07	Afghanistan	unkown	Violent political party	Assassination	Chemical (poisen)	1	0
1979/12/20	Sweden	Unknown	Government (Diplomatic)	Assasination	Chemical (poisen)	1	0
1979/10/09	Lybia	Unkown	Violent political party	Assassination	Chemical (Gas)	0	1
1977/11/16	Yemen	Unknown	Government (diplomatic)	Assasination	Chemical (poison)	1	0

<https://edition.cnn.com/2017/11/30/asia/kim-jong-nam-antidote-intl/index.html>

⁷ Global Terrorism Database https://www.start.umd.edu/gtd/search/Results.aspx?page=1&casualties_type=b&casualties_max=&start_yearonly=1970&end_yearonly=2019&criteria1=yes&dt2=all®ion=12,2,7,4,9,10,1,3,6,5,11,8&weapon=1,2&attack=1&target=1,7,2,10,12,13,16,18,22&charttype=line&chart=overtime&ob=GTDD&od=desc&expanded=yes#results-table

აღსანიშნავია, რომ აგრესიული არასახელმწიფო აქტორების, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათი მხარდამჭერების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის მასალებზე წვდომა და მათი გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევაა გლობალური უსაფრთხოებისთვის. წლების განმავლობაში ტერორისტულმა ჯგუფებმა გამოძებნეს იარაღებზე წვდომის ახალი გზები და საშუალებები. ტექნოლოგიებში მიღწეულმა პროგრესმა და ლეგალური თუ არალეგალური კომერციული არხების გაფართოებამ მასობრივი იარაღებიდან ზოგიერთზე წვდომა სულ უფრო ხელმისაწვდომი გახადა⁸.

მასობრივი განადგურების იარაღებიდან ქიმიური და ბიოლოგიური იარაღების დამზადება ბირთვულთან შედარებით, ნაკლებ რესურსს და ძალისხმევას მოითხოვს. საფრთხე კი შესაძლოა ყოველთვის არსებობდეს, თუ ქიმიკატები ადვილად ხელმისაწვდომი იქნება⁹. შესაბამისად, ეს გარემოება ხელსაყრელია ისეთი არასახელმწიფოებრივი აქტორებისთვის, როგორებიცაა ტერორისტული ორგანიზაციები თუ კრიმინალური დაჯგუფებები.

ცხადია, რომ აგრესიული არასახელმწიფო აქტორების ხელში ნებისმიერი ტიპის იარაღის, განსაკუთრებით კი მასობრივი განადგურების იარაღის მოხვედრა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას. შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოების წევრების მჭიდრო თანამშრომლობა და მათ მიერ ინიცირებული პროგრამები მიზნად ისახავს აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან მომავალი საფრთხის პრევენციასა თუ ესკალაციას.

იმ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ არასახელმწიფო აქტორების მხრიდან WMD-ის გამოყენებაზე წვდომის პრევენციას, აღსანიშნავია მშვიდობისმყოფელი ორგანიზაციის - გაეროს როლი. ამიტომაც, აღნიშნული კვლევის ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისების მიერ შემუშავებულ პროგრამებსა და დოკუმენტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ტერორისტული აქტორების მხრიდან WMD-ის იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეების პრევენციის საკითხებს.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, არასახელმწიფო აქტორების მხრიდან, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის წვდომის აღკვეთის საერთაშორისო გამოცდილების, განხილვას და მათგან მომდინარე შესაძლო საფრთხეების შეფასებას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა ვიცოდეთ გაეროს მიერ მიღებული ზომების გავლენა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის წვდომის აღკვეთის საკითხზე.

⁸Chemical, Biological, Radiological and nuclear terrorism. UN Counter-Terrorism Center(UNCCT)
<https://www.un.org/counterterrorism/cct/chemical-biological-radiological-and-nuclear-terrorism>

⁹ Global Challenge Foundation. Biological and chemical warfare
<https://globalchallenges.org/global-risks/weapons-of-mass-destruction/biological-and-chemical-warfare/>

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანია საერთაშორისო გამოცდილების განხილვა აგრესიული არასახელმწიფოების მხრიდან მასობრივი განადგურების იარაღების წვდომის აღკვეთის საკითხზე. ამიტომაც, კვლევა ეყრდნობა თვისებრივი მეთოდოლოგიის შემთხვევების შესწავლის მეთოდს (Case Study). საკვლევი თემის მიზნებიდან, სპეციფიკური ხასიათიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე შეირჩა აღნიშნული მეთოდი, რომელიც ასევე ცნობილია მონოგრაფიული კვლევის სახელითაც. შესაბამისად, კვლევა შეისწავლის გაერთიანებული ერების ორანიზაციისა და მასთან თანამშრომელი ორანიზაციების მიერ მიღებული ზომების გავლენას ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის წვდომის პრევენციაზე.

ამასთანავე, კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებული იქნება საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების, კერძოდ კი გაეროსა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მიღებული რეზოლუციებისა და კონვენციების კონტენტ-ანალიზი და ასევე, ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სტატისტიკის ანალიზიც. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მეორეული და მესამეული წყაროების ანალიზსაც. ამ მხრივ რელევანტურია UNODA-ს, UNODC-ს, UNCCT-ის OPCW-ის IAEA-ის მიერ მიღებული კონვენციები და რეზოლუციები.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა ეყრდნობა ისეთ აკადემიურ ნაშრომს როგორცაა, Dan Kaszeta-ს Small-scale Chemical and Biological production¹⁰, სადაც საუბარია თუ რა რესურსებია საჭირო მცირე ზომის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოებისთვის. ასევე, ნაშრომი ეხება მომხდარ სამეცნიერო და ტექნიკურ ტენდეციებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოების ძალისხმევაზე.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი აგრესიული არასახელმწიფო აქტორის, კერძოდ ალყის მიერ ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის (CBW) გამოყენების აქტივობის შესახებ ნაშრომი Chronology of Aum Shinrikyo's CBW activities¹¹, რელევანტურ წყაროდ შეიძლება განვიხილოთ.

ასევე, ტერორისტული ორგანიზაცია ალ - კაიდანს მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების ქრონოლოგიასა და მათგან მომავალი საფრთხის შეფასებასთან დაკავშირებით საინტერესოა რაღაც მუატის ნაშრომი AI -Qaeda Weapons of Mass Destruction treat: Hype or Reality ?¹²

ამასთანავე, თავის მხრივ საინტერესოა სტეფენ ჰუმელის სტატია The Islamic State and WMD: Assessing The Future Threat¹³, სადაც ავტორი საუბრობს ისლამური სახელმწიფოს სურვილზე მოიპოვოს მასობრივი განადგურების იარაღი. ასევე მათ მიერ ტექნიკური თვალსაზრისით გამოცდილი პიროვნებების აქტიურ ძიებაზე. ამასთანავე, ავტორი საუბრობს ისლამური სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო საფრთხეებზე.

აღსანიშნავია, ლაშა გიორგაძისა და ჯეიმს უაითერის ნაშრომი Horror or Hype: The Challenge of Chemical, Biological, Radiological, and Nuclear Terrorism¹⁴, რომელის მიზანია ტერორისტების მიერ CBRN-ის იარაღის გამოყენების პოტენციური საფრთხეების შეფასება. ასევე, ნაშრომში განიხილება CBRN დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება ინტერნეტში სხვადასხვა აპლიკაციების საშუალებით.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია მაიკლ ჰოროუიტის სტატია poor man's Atomic Bomb? Exploring the Relationship between Weapons of Mass destruction¹⁵, სადაც განხილულია თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს მასობრივი განადგურების ორი

¹⁰ Kaszeta, D. 2001. Small-scale chemical and Biological production. Rusi https://static.rusi.org/276-OP-Chem-Bio-Production-Final-Web_0.pdf

¹¹ Ballard, T. Jason, P. Ackerman, G. McCauley, D. Lawson S. 2005 Chronology of Aum Shinrikyo's CBW activities. James Martin Center for Nonproliferation Studies. <https://nonproliferation.org/chronology-of-aum-shinrikyos-cbw-activities/>

¹² Mowat-Larssen, R. 2010. AI -Qaeda Weapons of Mass Destruction treat: Hype or Reality. Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School <https://www.belfercenter.org/sites/default/files/files/publication/al-qaeda-wmd-threat.pdf>

¹³ Hummel, S. 2016. The Islamic State and WMD: Assessing The Future Threat. Combating Terrorist Center. Vol 9 Issue 1 <https://ctc.westpoint.edu/wp-content/uploads/2016/01/CTC-SENTINEL-Vol9Iss13.pdf>

¹⁴ Giorgadze, L. Whiter, J. 2019. Horror or Hype: The Challenge of Chemical, Biological, Radiological, and Nuclear Terrorism. George C. Marshall European Center For Security Study <https://www.marshallcenter.org/en/publications/occasional-papers/horror-or-hype-challenge-chemical-biological-radiological-and-nuclear-terrorism-0#toc-introduction>

¹⁵ Horowitz, C.M & Narang, N. (2014). Poor Man's Atomic Bomb? Exploring the Relationship between "Weapons of Mass Destruction"

ტიპის იარაღებს, კერძოდ კი ატომურ იარაღსა და CBW-ს(ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი) შორის.

ასევე, საინტერესოა ანა სახარჩენკოს კვლევა The EU and US Strategies against terrorism and proliferation of WMD : A Comparative Study¹⁶. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს აშშ-სა და ევროკავშირის შედარებით ანალიზს ორი მიმართულებით - ტერორიზმი და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. ასევე, ნათქვამია, ეს ორი გლობალური საფრთხე განსაკუთრებით სახიფათოა როცა ერთიანდება.

დამატებით, რელევანტურია კელის დავენპორტის სტატია US Sets Strategy Against WMD Terrorist¹⁷, სადაც განიხილავს ტრამპის ადმინისტრაციის მიერ გამოშვებულ ახალ ეროვნულ კონტერორისტულ სტრატეგიას. სტატიაში ნათქვამია, რომ ახალი სტრატეგიის ემსახურება შეამციროს ტერორისტების წვდომა WMD-ის ნივთიერებებზე.

გაეროსა და მის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მიღებული ზომები აგრესიული არასახელმწიფო აქტორების მხრიდან WMD-ზე წვდომის აღკვეთაზე

1. მასობრივი განადგურების იარაღთა ტიპები: ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღები (CBRN)

მასობრივი განადგურების იარაღში მოისაზრებენ ბიოლოგიურ, ქიმიურ, რადიოლოგიურ ბირთვულ იარაღებს¹⁸. ცნობილია, რომ WMD-ის გავრცელება არის ისეთი გლობალური გამოწვევა, რომელიც სცილდება ეროვნულ, კულტურულ, პოლიტიკურსა და სოციალურ საზღვრებს. ამ ტიპის იარაღთა გავრცელება და გამოყენება საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი საფრთხე მზარდია თუ იგი აგრესიული არასახელმწიფო აქტორების ხელში ხვდება. აღნიშნულ თავში განიხილება ქიმიური ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღთა სახეობები და მათი შესაძლებლობები¹⁹.

ქიმიური იარაღის ტოქსიკური ნივთიერებები სასიკვდილო ეფექტს ახდენს ადამიანზე. ამ ნივთიერებებისგან მიღებული აგენტები შეიძლება იყოს როგორც

¹⁶ Zakharchenko, A. 2007. The EU and US Strategies against terrorism and proliferation of WMD : A Comparative Study. George C. Marshall European Center For Security Study. <https://www.marshallcenter.org/en/publications/occasional-papers/eu-and-us-strategies-against-terrorism-and-proliferation-wmd-comparative-study-0#toc-foreword->

¹⁷ Davenport, K. 2019. US Sets Strategy Against WMD Terrorist. Arms Control Association <https://www.armscontrol.org/act/2019-01/news/us-sets-strategy-against-wmd-terrorism#:~:text=The%20U.S.%20strategy%20document%2C%20released,these%20weapons%2C%20and%20plans%20for>

¹⁸ Friedman, D. 2011. The Obama Vision and nuclear Disarmament: Preventing Chemical and Biological Weapons Proliferation. Institute for National Security Studies https://www.jstor.org/stable/pdf/resrep08979.9.pdf?refreqid=excelsior%3A332d2013006c0c8755b25f22ddf51c0&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=

¹⁹ Renahan, J. 1997. Weapon of Mass Destruction. Air University Press. Pp.13-25. https://www.jstor.org.ezproxy.iliauni.edu.ge/stable/pdf/resrep13977.9.pdf?refreqid=excelsior%3A2583ce5ed1f4972f1bc1d6a0b35b42f3&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=

ლეთალური, ასევე, არალეთალური შედეგის მომტანი. ლეთალური აგენტი, როგორცაა სარინი შექმნილია ომის დროს მაქსიმალური სიკვდილიანობის გამოსანვევად. არალეთალური აგენტებში შედის ცრელმსადენი გაზი, რომელიც შეიქმნა დაზიანებების მისაყენებლად და ქმედითუნარიანობის დასაქვეითებლად. მას ძირითადად იყენებდნენ ხალხის მასიური კონტროლისთვისაც²⁰.

ქიმიური ნივთიერებების კლასიფიცირება ხდება ადამიანის სხეულზე დაზიანების ხარისხის მოხდენის მიხედვით. ყველაზე გავრცელებული კლასებია სისხლის აგენტი, G და V- სერიის ნერვული აგენტები, ფსიქოკიმიკატები, ლებინების და დახშობის აგენტები. G სერიის აგენტი საკმარისი დოზით მოხვედრისას ორგანიზმში უმაღვე ახდენს სასუნთქი გზების პარალიზებას და იწვევს სიკვდილის, მსგავსად V სერიის აგენტებისა. თუმცა V სერიის აგენტები მეტად ტოქსიკური და მდგრადია²¹. (იხ.ფიგურა 2)

ფიგურა 2. ქიმიური აგენტთა კლასიფიკაცია. წყარო: *Weapon of Mass Destruction 1997*.

Agent Class	Agent Name	Symbol	Persistency	Rate of Action	Toxicity
Nerve	Tabun	GA	Low	Very Rapid	Lethal
	Sarin	GB	Low	Very Rapid	Lethal
	Soman	GD	Moderate	Very Rapid	Lethal
	GF	GF	Moderate	Very Rapid	Lethal
	VX	VX	Very High	Rapid	Lethal
Blister	Sulfur Mustard	H, HD	Very High	Delayed	Nonlethal
	Nitrogen Mustard	HN-1 HN-2 HN-3	High Moderate Very High	Delayed Delayed Delayed	Nonlethal Nonlethal Nonlethal
	Phosgene Oxime	CX	Low	Immediate	Nonlethal
	Lewisite	L	High	Rapid	Nonlethal
	Phenyldichloroarsine	PD	Low-Moderate	Rapid	Nonlethal
	Ethylidichloroarsine	ED	Moderate	Delayed	Nonlethal
	Methylidichloroarsine	MD	Low	Rapid	Nonlethal
	Choking	Phosgene	CG	Low	Delayed
	Diphosgene	DP	Low	Variable	Lethal
Blood	Hydrogen Cyanide	AC	Low	Rapid	Lethal
	Cyanogen Chloride	CK	Low	Rapid	Lethal
	Arsine	SA	Low	Delayed	Lethal
Riot Control (vomiting)	Diphenylchloroarsine	DA	Low	Rapid	Nonlethal
	Diphenylcyanoarsine	DC	Low	Rapid	Nonlethal
	Adamsite	DM	Low	Rapid	Nonlethal
Riot Control (Tear Gas)	Chloroacetophenone	CN	Low	Immediate	Nonlethal
	Chloropicrin	PS	Low-High	Immediate	Nonlethal
	Bromobenzylidene	CA	Moderate-Very High	Immediate	Nonlethal
	O-Chlorobenzylidene Malononitrile	CS	Low-High	Immediate	Nonlethal
Psycho-chemical	3-Quinuclidinyl Benzilate	BZ	High	Delayed	Nonlethal

Source: *The Chemical and Biological Warfare Threat* (Washington, D.C.: Government Printing Office, April 1995), 8.

ხრჩობის აგენტები აღიზიანებს ცხვირს, ყელს და განსაკუთრებით ფილტვებს. მათი ჩასუნთქვისას ხდება ხდება ფილტვებში სითხის დაგროვება, შედეგად ადამიანი იწყებს ხრჩობას. ამ ჯგუფში ფოსგენსა და დიფოსგენტან ერთად გვხვდება ქლორინი (CL) და ქლოროპიკრინი (PS). ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ აგენტებს შორის არის ბლისტერ აგენტი, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის კანზე, ფილტვებზე და თვალბებზე. კანზე მოხვედრისას ის წვავს, ლორწოვან გარსს, თვალბებსა და კანს, ასევე, აზიანებს ფილტვებს. ავრცელებენ აეროზოლის, სითხის, ორთქლის და მტვრის სახით. სისხლის აგენტები აფერხებენ სისხლის ჟანდგბადის ცირკულაციას და უჭრედებისთვის გადაცემას. შესაბამისად ზიანდება სასიცოხლო ორგანოები, ცენტრალური ნერვული სისტემა, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, სასუნთქი სისტემა. ამიტომაც, ადამიანი იხრჩობა, მას შემდეგ რაც მასში ხვდება, სისხლის აგენტი ძირითადად შესუნთქვის გზით. ნერვული აგენტები ბლოკავენ ფერმენტ Acetylcholinesterase (AChE)-ს ნერვულ სისტემაში. ეს იწვევს ბიოქიმიური მესენჯერის ნეიროტრანსმისტერის, რომელიც სტიმულატორია და უზრუნველყოფს იმპულსების გავრცელებას ნერვულ სისტემაში, აკუმულაციას ნერვულ უჭრედებს შორის. შედეგად, ხდება კუნთებისა და ჭირკვლების ჰიპერსტიმულაცია. ნერვულ აგენტებს

²⁰ Ibid19

²¹ Ibid19

ძლიერი ტოქსიკური ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ ადამიანზე. ზოგიერთი G-სერიის ნერვული აგენტი, როგორცაა ტაბუნი და სარინი ნაკლებად მდგრადია გარემოს მიმართ. ყველაზე ძლიერი ნერვული აგენტები V ტიპის აგენტებია, რომელთაგან რამდენიმე მილიგრამის გამოყენებაც კი სასიკვდილო შედეგს აყენებს. ისინი იწვევენ შემდეგ მდგომარეობას: ცრემლდენა, ოფლიანობა, ბუნდოვანი მხედველობა, თავის ტკივილი, სუნთქვის გაძნელება, ლებინება, კრუნჩხვები, სხეულის კონტროლის დაკარგვა, კუნთების დამბლა, გონების დაკარგვა. ასევე, არსებობს Riot control agent-ბი, რომლებიც განიხილება ქიმიურ იარაღად, თუმცა ისინი გამიზნულია დროებით ქმედითუნარიანობის დასაქვეითებლად. ადამიანის სხეულზე მოხვედრისას იწვევენ თვალების, პირის ღრუს, კანის, ფილტვებისა და ყელის გაღიზიანებას²².

1980- იან წლებში საბჭოთა კავშირმა გამოიგონა კიდევ ერთი ნერვული აგენტი, რომელიც ცნობილია როგორც ნოვიჩოკი. აღნიშნული აგენტები მეოთხე თაობის ქიმიური იარაღი და უფრო მეტად ეფექტიანი ვიდრე მესამე თაობის აგენტები, როგორცაა სარინი და XV. ნოვიჩოკი გამოირჩევა მესამე თაობის იარაღებისგან მეტად ლეტალური ეფექტით. თუ მსხვერპლს არ ჩაუტარდა სათანადო დახმარება, იგი გარდაიცვლება 20-30 წუთის განმავლობაში. ამ აგენტის მოქმედების პრინციპი თითქმის იგივეა რაც წინამორბედი აგენტებისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა მათზე მეტად განვითარებული და დახვეწილია. ნოვიჩოკით მოწამვლის შემდგომი სიმპტომები შეიძლება იყოს: გონების დაკარგვა, სუნთქვის გართულება, პარალიზება²³.

ნერვულ აგენტებს განსაკუთრებული ადგილი აქვთ ქიმიური იარაღის ომის ისტორიაში. გარკვეული დროის განმავლობაში ისინი ითვლებოდნენ იდეალურ ქიმიურ იარაღად (CW) თავისი თვისებების გამო. ასევე, ისინი თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით მეტი ქმედითუნარიანობით გამოირჩევიან. მათი სახელწოდება გამომდინარეობს მათივე მოქმედების პრინციპიდან, რომელიც გულისხმობს ორგანიზმში მოხვედრისას ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებას და მისი მოქმედების ფუნქციების დარღვევას²⁴.

ამასთანავე, ქიმიური იარაღის პროგრამის შემუშავება შესაძლებელია დაბალი კაპიტალითაც, თუმცა, რთულია ტოქსიკური ნივთიერებების ისეთი მარაგის შექმნა, რითაც მნიშვნელოვანი სამხედრო ზიანის მიყენება იქნებოდა შესაძლებელი მოწინააღმდეგისთვის²⁵.

აღსანიშნავია, რომ ქიმიურთან შედარებით ბიოლოგიური იარაღი განიხილება უფრო ეფექტიან საშუალებად, ვინაიდან BW აგენტები შედარებით მეტად ტოქსიკურია ვიდრე CW აგენტები. 1997 წლის მონაცემებით, ბიოლოგიური იარაღის 160 დაავადების გამომწვევი სახეობაა ცნობილი. ბიო აგენტები შესაძლოა დაიყოს პათოგენებად და ტოქსინებად. პათოგენები ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ დაავადებებს. ამ კატეგორიაში ერთიანდება ვირუსებიც და ბაქტერიებიც. რაც შეეხება ტოქსინებს, ისინი შხამიანი ნაერთებია, რომლებსაც აწარმოებენ ცოცხალი ორგანიზმები, როგორებიცაა მიკრობები, ობობები, გველები, მცენარეები და ა.შ.²⁶ (იხ.ფიგურა 3)

²² What is a chemical weapon? OPCW.
<https://www.opcw.org/our-work/what-chemical-weapon>

²³ What is Novichok nerve agent?. 2018. Telegraph.
<https://www.youtube.com/watch?v=cqvMlyHz3O0>

²⁴ Kaszeta, D. 2020. Risk of Chemical/Biological attack by Russia against Ukraine. Georgian Center For Strategy and Development
<https://www.facebook.com/GCSDorg/videos/724192435416062/>

²⁵ Ⴀbid 15

²⁶ Ⴀbid 12

ფიგურა 3. ბიოლოგიური აგენტების კლასიფიკაცია. წყარო: *Chemical Weapon of Mass Destruction*

Examples of Biological Warfare Agents

<i>Disease</i>	<i>Causative Agent</i>	<i>Incubation</i>	<i>Fatalities (%)</i>
Anthrax	Bacillus Anthracis	1–5 days	80
Plague	Yersinia Pestis	1–3 days	90
Tularemia	Francisella Tularensis	1–10 days	5–20
Cholera	Vibrio Cholerae	2–5 days	25–50
Venezuelan Equine Encephalitis	VEE Virus	2–5 days	<1
Q Fever	Coxiella Burnetti	12–21 days	<1
Botulism	Clostridium Botulinum Toxin	3 days	30
Staphylococcal Enterotoxemia (food poisoning)	Staphylococcus Enterotoxin Type B	1–6 days	<1
Multiple Organ Toxicity	Trichothecene Mycotoxin	Dose Dependent	

Source: *The Chemical and Biological Warfare Threat* (Washington, D.C.: Government Printing Office, April 1995), 28.

თუმცა, ახალ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს 2021 წლის განახლებულ სიას აღმოჩენილია 250-ზე მეტი ბიო აგენტი, მათ შორის ბაქტერიები და ვირუსებიც, რომლებიც იწვევენ ადამიანში სხვადასხვა დაავადებებს²⁷.

აღსანიშნავია, რომ ტერმინის - მასობრივი განადგურების იარაღის, გამოყენება ხშირად ასოცირდება მხოლოდ ბირთვულ იარაღთან, მისი მასშტაბური შესაძლებლობების გამო. ამ უკანასკნელის წარმოება და შენახვა WMD-ის ოჯახიდან საკმაოდ ძვირი ჯდება²⁸. მაგალითისთვის, გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატები 2021 წლისთვის გეგმავდა გამოეყო ათობით მილიარდი დოლარი თავისი ბირთვული პროგრამის განსახლებლად²⁹. (იხ. ფიგურა 4)

²⁷ The approval list of biological agents.2021. Advisory committee on Dangerous Pathogens <https://www.hse.gov.uk/pubns/misc208.pdf>

²⁸ Ibid 19

²⁹ Fact sheet: U.S Nuclear Weapon Modernization: Cost and constrains. 2021. Center for Arms Control and Non-proliferation. <https://armscontrolcenter.org/fact-sheet-u-s-nuclear-weapons-modernization-costs-constraints/>

ფიგურა 4. ბირთვული იარაღის განახლების პროგრამა. წყარო: Center For Arms Control and Non-proliferation, 2021

Select Major Nuclear Weapons Modernization Programs

Triad Leg	Weapon	Plan	Estimated Request	FY21 Request	Total Cost Estimate
Air	B-21 Strategic Bomber	New	175	\$2.8 billion	\$97 billion
	Long Range Standoff Weapon	New	1,000	\$474.4 million	\$11 billion
	B61-12 Gravity Bomb	Modification	480	\$45.4 million	\$10 billion
	W80-4	Life Extension	N/A	\$1 billion	\$12 billion
Sea	Columbia Class Submarine	New	12	\$4.4 billion	\$128 billion
	Trident II D5 Missile	Modification	N/A	\$1.2 billion	\$19 billion
	W88	Life Extension	N/A	\$257 million	\$3 billion
	W93	New	N/A	\$53 million	\$14 billion
Ground	Ground Based Strategic Deterrent	New	659	\$1.5 billion	\$100 billion
	W87-1	Modification	N/A	\$541 million	\$15 billion

ბირთვული იარაღის შექმნისას ძირითადად იყენებენ დასაშლელ ნივთიერებებს ურანიუმის ან პლუტონიუმის იზოტოპებს. მისი წარმოება საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია. ასევე, ეფექტური იარაღის შესაქმნელად კი საჭიროა ძლიერი ტექნიკური მხარდაჭერა და სპეციალური დანადგარები³⁰.

მასობრივი განადგურების იარაღში ერთიანდება გარდა ქიმიური ბიოლოგიური და ბირთვულისა, რადიოლოგიური იარაღიც. ამ ტიპის იარაღებს ყოფენ ორ კატეგორიად: ერთი რომელიც მზადდება რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მეორე ტიპი, რომელიც შეიცავს ჰალოგენებს. რადიოაქტიური ცეცხლგამჩენ საშუალებებში შედის ბომბები ან თერმიტის რაკეტები. მეორე კატეგორიაში შემავალი ერთ-ერთი იარაღი, რადიოაქტიური კვამლი, მზადდება სხვადასხვა ჰალოგენებისგან, როგორცაა ფლორინი, ქლორინი, იოდინი და ბრომინი³¹.

აღსანიშნავია, რომ CBRN იარაღით ჩადენილი შემთხვევების რაოდენობა ტერორისტების მხრიდან 1970 წლიდან 2018 წლამდე აღწევს 390-ს. დაფიქსირდა 347 ქიმიური თავდასხმა, 31 ბიოლოგიური, 12 რადიოლოგიური და არცერთი ბირთვული. ³² (იხ.ფიგურა 5)


³⁰ Ibid 30

³¹ DE Ment, J. 1952. Radiological Warfare Weapons. Society of American Military Engineers. Pp.106-108 https://www-jstor-org.ezproxy.iliauni.edu.ge/stable/pdf/44569555.pdf?refreqid=fastly-default%3A14e33034dda611f8179b9b867ac7693e&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=search-results

³² Tin, D.Granholm,F. Hart A, Ciotone, G.R.2021. Terrorism Related Chemical, Biological, Radiation and nuclear attacks: A historical Global Comprason influencing the Eemerence of Counter-Terrorism Medicine. Cambridge Univeristy Press.

<https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/4449DA9FC6E0143E1E644FBCD7670823/S1049023X21000625a.pdf/terrorism-related-chemical-biological-radiation-and-nuclear-attacks-a-historical-global-comparison-influencing-the-emergence-of-counter-terrorism-medicine.pdf>

ფიგურა 5. WMD-ით განხორციელებული თავდასხმები ტერორისტების მხრიდან. წყარო: *Prehospital and Disaster Medicine*



2. აგრესიული არასახელმწიფო აქტორების, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციების WMD-ზე ხელმისაწვდომობის საკითხი

მსოფლიოში არსებული ტექნოლოგიების და ხელმისაწვდომი მასალების მეშვეობით შედარებით მარტივი ხდება ქიმიური აგენტების გადატანა და წარმოება. ასევე, ბიოლოგიური იარაღისთვის საჭირო ნივთიერებებსა და აღჭურვილობაზე წვდომა არცთუ ისე რთულია. არც ტერორისტული ორგანიზაციები მალავენ ინტერესს მასობრივი განადგურების იარაღების ფლობის და მისი განვითარების მიმართ. მაგალითისთვის იაპონურ ტერორისტულ ორგანიზაციას Aum Shinrikyo-ს საოცრად კარგად განვითარებული ტექნიკური მხარდაჭერა ჰქონდა, რომელიც მოიცავდა ქიმიურ საწარმოებს, მაღალ-განვითარებულ ლაბორატორიებს და რამდენიმე ასეულ ტონა 40 სხვადასხვა ქიმიკატს³³.

Aum shinrikyo წლების განმავლობაში მუშაობდა CBRN-ის და ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიების განვითარებისთვის. დაჯუფებმა შექმნა საკუთარი ბიოლოგიური და ქიმიური ომის პროგრამა 300 მაღალკვალიფიციური, დაქირავებულ მეცნიერთა წყალობით. ასევე, ის ცდილობდა შეეძინა უცხოეთში ნივთიერებები თავისი ბიოლოგიური პროგრამისთვის. Aum shinrikyo -ს განშტოება ნიუ -იორკში, ძალისხმევას ხარჯავდა მოეპოვებინა მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა და კომპიუტრული პროგრამები³⁴.

ორგანიზაცია მუშაობდა ბიოლოგიურ პროგრამაზეც, თუმცა ამ ტიპის იარაღის გავრცელების ისტორია ოფიციალურად არ დასტურდება. არსებობს მოსაზრება, რომ 1990 წელს Aum Shinrikyo ცდილობდა ბოტულინუმის ტოქსინის გამოყენებით

³³Lyell, L. Chemical and Biological Weapons: The poor man's bomb. North Atlantic Assembly. <https://irp.fas.org/threat/an253stc.htm>

³⁴ Ibid 14

გამოეწვია მასობრივი მსხვერპლი. არსებობს ორი მნიშვნელოვანი წყარო, რომელთაგან ერთი ეკუთვნის იაპონიის ეროვნული პოლიციის სააგენტოს, აღწერს 1990 წელს როგორ ცდილობდა ორგანიზაცია ბოტულინუმის გავრცელებას. თუმცა, არ არსებობს მყარი არგუმენტი, რომ ორგანიზაციამ გამოიყენა აღნიშნული ტოქსინი. იაპონური ტერორისტული ორგანიზაციის აშკარა წარუმატებლობამ ბოტულინუმთან, სავარაუდოა, რომ ისინი აიძულა ეძებნა სხვა ნივთიერებები. რამდენიმე წყარო, გამოთქმული ვარაუდის მიხედვითაც, მათ მიიღეს ანთრაქსის შტამი ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან. როგორც ჩანს ორგანიზაცია ცდილობდა შეექმნა ბიოლოგიური იარაღი, რომელიც მნიშვნელოვან მსხვერპლს გამოიწვევდა, თუმცა მათი მცდელობები წარუმატებლად დასრულდა³⁵.

ქიმიური იარაღის პროგრამა აღმოჩნდა ბიოლოგიურთან შედარებით ბევრად წარმატებული. ქიმიური იარაღის წარმოება მათთვის უფრო მეტად მარტივი აღმოჩნდა ვიდრე ბიოლოგიურის ან ბირთვულის. მათ აღმოაჩინათ საკმარისი უანრები და ქიმიკატები შეექნათ ქიმიური იარაღი. 1993 წელს, ორგანიზაციამ მოიწვია ქიმიკოსთა ჯგუფი ქიმიური საწარმოებიდან დიდი რაოდენობით აგენტების მისაღებად. ჯგუფი ტესტირებებს ავსტრალიაში ცხვირის ფერმაში ატარებდა. 1995 წლის სარინი თავდასხმის შემდეგ, ავსტარილიურმა გამოძიებამ აღმოაჩინა დახოცილ ცხვრებში სარინის კვალი. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა მათ საშუალება მისცა კარგად შეესწავლათ პროდუქტები, გამოესწორებინათ ხარვეზები და შეექმნათ ბევრად ეფექტიანი ქიმიური იარაღი ფართო მასშტაბიანი სიკვდილიანობის გამოსანვევად³⁶.

მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, როდესაც მათ მიიღეს რუსული ფორმულა სარინის სითეზისთვის. ვარაუდობენ, რომ რუსი მეცნიერები ესტუმრნენ ორგანიზაციას ქიმიურ ქარხანებში. სარინის პროგრამის დეტალები დღემდე ბუნდოვანი რჩება, თუმცა არსებობს წყაროები, რომელთა მიხედვით მტკიცდება, რომ შესაძლოა მართლა ჰქონოდა ადგილი ცოდნის ამგვარ გაცვლას რუსებსა და იაპონელ მეცნიერებს შორის. გარდა სარინისა aum shinrikyo-მ გამოიყენა XV მკველობისთვის, იაპონიაში. თუმცა ამ აგენტის წარმომავლობა დაუდგენელია, რადგან იგი სარინთან შედარებით რთულად საწარმოებელი აგენტია. ერთ-ერთი ვარაუდის თანახმად, ორგანიზაციის მეცნიერებმა შეძლეს 20 გრამი XV-ის წარმოება, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა მკველობისთვის საკმარისად სუფთად წარმოებულში³⁷.

Aum Shinrikyo-ის კავშირებმა რუსებთან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ორგანიზაციის განვითარებაზე. იგი იყენებდა მაღალი თანამდებობის პირებთან დასაახლოებლად სიმდიდრეს, რათა იარაღზე წვდომა და მათი შექმნა თავისუფლად შესძლებოდა. Aum Shinrikyo ცდილობდა დამკვიდრებას შრი-ლანკასა და ინდოეთში. მიუხედავად ბუდისტური ფესვებისა მას სამხრეთ აზიის ამ ქვეყნებში ფეხის მოკიდება ძალიან გაუჭირდა³⁸

ორგანიზაციის ისტორია ამერიკაში იწყება 1989 წლიდან. თუმცა შტატებში მას ბევრი მიმდევარი არც არასდროს ყოლია განხვავებით რუსეთისგან. იგი აშშ-ში ყოფნას იყენებდა საჭირო ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიების შესაძენად.³⁹

1990- იან წლებში კიდევ ერთი ტერორისტული ორგანიზაცია ცდილობდა CBRN მასალების შექმნას. ალ-კაიდა მრავალჯერ ეცადა ეწარმოებინა ანთრაქსის

³⁵ Parachini, J.2005. Aum Shinrikyo. RAND. Vol.2 pp. 11-16.
https://www-jstor-org.ezproxy.iliasuni.edu.ge/stable/pdf/10.7249/mg332nij.9.pdf?refreqid=excelsior%3A0036b9ed3b0f2c4e9bf6250fcc5dacdb&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=

³⁶ ^|bid35
³⁷ ^|bid35
³⁸ ^|bid35
³⁹ ^|bid35

ლეთალური ეფექტის მქონე ბაქტერია, რათა შეემუშავებინა ბიოლოგიური იარაღი. ორგანიზაციასთან აფელირებული დაჯგუფებები კი დაინტერესებულნი იყვნენ ნედლი ქიმიკატებითა და შხამებით. 2002-დან 2003 წლამდე, ორგანიზაცია გეგმავდა რაციონითა და ციანიდით თავდასხმებს ლონდონის მეტროზე, თუმცა ლონდონის პოლიციის სამსახურმა ეს მცდელობები ჩაშალა. ალ-კაიდას CBRN იარაღის წარმოების მცდელობები კრახით დასრულდა. წარუმატებლობისთვის ტერორისტულ ორგანიზაციას ბევრი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი სირთულე რასაც ალ-კაიდა გადააწყდა იყო საჭირო მასალების შექმნა და მათი განვითარება. ორგანიზაციას ჰქონდა ბირთვული იარაღის შექმნის ამბიცია, თუმცა ამისთვის საჭირო ტექნიკა არ გააჩნდა. არათუ ბირთვულის იარაღის პროგრამა, არამედ ანთრაქსის პროექტიც კი ვერ განავითარეს⁴⁰.

3. ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შემთხვევების მოკლე ისტორიული მიმოხილვა იაპონიაში, სირიასა და ერაყში.

მსოფლიოში არსებობს შემთხვევების მთელი სერია, როცა არასახელმწიფო აქტორებმა გამოიყენეს მასობრივი განადგურების იარაღთა კლასიდან რამდენიმე მათგანი, შიშის, ტერორის, ნგრევისა და სიკვდილიანობის გამოსაწვევად. ზოგი თავდასხმა დადასტურდა გამოძიების შედეგად, ზოგი ინციდენტი კვლავაც არ არის დადასტურებული.

ტოკიოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტერორისტული მოვლენა უკავშირდება 1995 წელს ტოკიოს მეტროზე ქიმიური ნივთიერებით, კერძოდ კი სარინით თავდასხმას, რომელიც განახორციელა იაპონურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ Aum Shinrikyo-მ. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებზე, ეძებნათ გზები ბიოლოგიური, ქიმიური რადიოლოგიური და ბირთვული შეტევების შესასრულებლად⁴¹.

Aum Shinrikyo-მ არაერთხელ გამოიყენა CWB იარაღი იაპონიაში. ორგანიზაციამ 1990-95 წლების შუალედში წამოიწყო 17 თავდასხმა, აქედან 10 ქიმიური და 7 ბიოლოგიური. შეტევების სამიზნე ჯგუფები იყვნენ მოქალაქეები და ოფიციალური პირები. გამოძიების შედეგად დადასტურდა ოთხი ბიოლოგიური თავდასხმა, რომლიდან სამი შემთხვევა განხორციელდა ანთრაქსით იგივე ჯილდებით, ხოლო ერთი - ბოტულინუმით. ქიმიური იარაღით შესრულებული ოთხი შეტევის დროს გამოიყენეს სარინი. ასევე, დანარჩენი სხვა ქიმიური თავდასხმა შეასრულდა XV აგენტით, ნყალბადის ციანიდით და ფოსგენით⁴².

Aum Shinrikyo, როგორც სასულიერო დაჯგუფება გაჩნდა 1980-იან წლებში და იგი თავიდან აერთიანდება მასში ბუდისტურ, ასევე ინდუისტურ შეხედულებებს, ხოლო მოგვიანებით შეიძინა ქრისტიანული აპოკალიპტური მოძღვრების ელემენტებიც.

⁴⁰ Rathore, A, S. 2016. Is the treat of ISIS using CBRN real?. International Centre for Political Violence and Terrorism Research. Pp.4-10.
https://www.istor.org/stable/pdf/26369585.pdf?refreqid=excelsior%3A1c72900f77ace6471d425ee27ac3cf8c&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&acceptTC=1

⁴¹ Gunaratna, R. 2018. Aum Shinrikyo's Rise, fall and Revival. Counter Terrorists Trends and Analyses. International Centre for political and Terrorism Research. Vol. 10, No. 8, pp. 1-6
Available at : JSTOR
<https://www.jstor.org/stable/pdf/26481827.pdf>

⁴² ^Ibid41

1989 წელს დაჯგუფებამ მოიპოვა სასულიერო ორგანიზაციის წოდება, იაკონონიაში⁴³.

1995 წლის ტოკიოს სარინის თავდასხმის შემდეგ, აღნიშნულ ტერორისტულ ორგანიზაციას ჰქონდა წარუმატებელი მცდელობები წყალბადის ციანიდის გავრცელების, მეტრო- სადგურებზე. ამასთანავე, ტოკიოს მეტროზე მომხდარი შემთხვევის შემდგომ, რომელმაც 30 ადამიანის სიცოცხლე შეინირა და დააზიანა 5,800 მოქალაქე, ორგანიზაციამ უკან დაიხია, თუმცა იგი დღემდე აგრძელებს არსებობას Aleph-ის სახელწოდებით⁴⁴.

ისლამური სახელმწიფო ქიმიურ აგენტებს იყენებდა სირიაში, ასევე ერაყშიც საწყის ეტაპზე, რომელიც მოიცავს ხალიფატის არსებობის პირველ წლებს (2015-2015), ISIS-ის ქიმიური თავდასხმები ეყრდნობოდა ფართოდ გავრცელებულ ქიმიკატებს - ქლორისა და ფოსფინის გამოყენებას. აღნიშნულ ქიმიკატებს ათავსებდნენ ხელნაკეთ ასაფეთქებელ მონყობილობებში (IEDs), რომლებსაც შემდგომ ამონტაჟებდნენ გზის პირას. 2015-2017 წლებში ორგანიზაციამ გააძლიერა თავისი შესაძლებლობები და გამოიყენა აგენტი, რომელიც ცნობილია, როგორც გოგირდის მდოგვის აგენტი.⁴⁵ თუმცა, ისლამური სახელმწიფოს მიერ გამოყენებული თავდასხმების ძირითადი ნაწილი არ არის დადასტურებული. ორგანიზაცია 2014 წლიდან 2017 წლამდე ეჭვმიტანილია, სირიაში, ქიმიური იარაღით განხორციელებულ 30 თავდასხმაში. სავარაუდოდ, ხალიფატი ძირითად შემთხვევებში ქიმიურ იარაღს იყენებდა ფსიქოლოგიური გავლენის მოსახდენად⁴⁶.

სირიაში, ISIS-ის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს 2016 წლის 15-16 სექტემბერს მომხდარი ინციდენტი. აღნიშნულ ინციდენტზე გაეროსა და OPCW-ს გაერთიანებული საგამოძიებო მექანიზმის პასუხისმგებლობას აკისრებს ISIS-ის. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის თავდასხმის დროს გამოიყენეს გოგირდის მდოგვის აგენტი⁴⁷.

ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ 2014-2017 წლებში განახორციელა ერაყში 29 თავდასხმა ქიმიური ასაფეთქებელი იარაღების მეშვეობით. 2017 წლის ერთ-ერთი შეტევის დროს თავდამსხმელებმა ოთხი ქიმიური ნაღმი ისროლა მოსულში უდანაშაულო მოქალაქეების წინააღმდეგ. ამ შედეგების შედეგად, სულ მცირე 13 ადამიანი დაშავდა. მიუხედავად იმისა, რომ არცერთამ ჯგუფმა აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, წყაროების მიხედვით თავდასხმა მოაწყო ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ⁴⁸.

⁴³ Ibid41

⁴⁴ Aum Shinrikyo: The Japanese cult behind the Tokyo Sarin attack. 2018. BBC. <https://www.bbc.com/news/world-asia-35975069>

⁴⁵ Strack, C. 2017. The Evolution of the Islamic State's Chemical Weapon's Effort. Combating Terrorism center at West Point. V.10 No.9. pp.19-23 https://ctc.usma.edu/wp-content/uploads/2017/10/CTC-Sentinel_Vol10Iss9-21.pdf

⁴⁶ Islamic State's Chemical Weapons Capability degraded, IHS Markit says. 2017. IHS Market https://news.ihsmarket.com/prviewer/release_only/slug/aerospace-defense-security-islamic-states-chemical-weapons-capability-degraded-ihs-mar

⁴⁷ Both ISIL and Syrian Government responsible for use chemical weapons, UN Security Council told. 2017. UN News <https://news.un.org/en/story/2017/11/570192-both-isil-and-syrian-government-responsible-use-chemical-weapons-un-security#:~:text=The%20Islamic%20State%20of%20Iraq,Council%2Dmandated%20investigation%20said%20Tuesday.>

⁴⁸ Global Terrorism Database

4. გაეროს ოფისები და მექანიზმები WMD ტერორიზმის პრევენციის-თვის

გაერო, რომლის მიზანია საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისი უწყებებითა და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოფისები კონტრტერორისტულ ძალისხმევას ახორციელებენ ორგანიზაციის მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში.

9 /11-ის მოვლენის შემდგომ, ორგანიზაციამ შექმნა კონტრტერორისტული საბჭო - CTC, რეზოლუციით 1373-ით, რომელიც სთხოვს ქვეყნებს მიიღონ რიგი ღონისძიებები, რათა გააძლიერონ მათი სამართლებრივი თუ ინსტიტუციური შესაძლებლობები ტერორიზმთან ბრძოლაში. ასევე, მოითხოვს შეურთდნენ, რაც შეიძლება სწრაფად 1993 წელს მიღებულ 19 საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს ტერორისტული აქტების აღსაკვეთად⁴⁹.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 19 სამართლებრივი დოკუმენტი შეიმუშავდა გაეროსა და ატომური საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) ეგიდით და მოიცავს კონვენციებს, რომლებიც ითვალისწინებს ბირთვული ნივთიერებების, ასევე ასაფეთქებელი მასალების დაცვას⁵⁰.

